მომსახურეობის ხელშეკრულება № 20

ქ. ჯვარი *„21- აპრილი“ 2017 წ.*

ერთი მხრივ, სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ (შემდგომში „შემკვეთი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ პირი თეანა ქუხილავას სახით, მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე - რევაზ გრიგოლაია, პირადობის № 51001025344, მისამართი: ქ. ჯვარი, (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი რევაზ გრიგოლაიას სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება მომსახურეობის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მიმწოდებელმა

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემკვეთი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „შემსრულებელი“ – ინდ. მეწარმე, რომელიც იღებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ავტოსატრანსპორტო მომსახურეობის გაწევა.

2.2 მომსახურეობა მოიცავს: 2017 წლის 23 აპრილიდან 2017 წლის 24 აპრილამდე.

CPV –60100000 - ავტოსატრანსპორტო მომსახურეობები მარშრუტით ჯვარი - თბილისი - ჯვარი, კერძოდ პროფესიული განათლების „პაკათონი“ – II ატაპი – 23 აპრილი მონაწილეობის მისაღებად.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 300 (სამას) ლარს;

3.2. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები მიმწოდებლისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ფორს–მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. აღნიშნული მომსახურეობა ჩაითვლება დასრულებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება გაწეული მომსახურეობის დასრულებისას.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 21 აპრილიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით.

10. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	შემსრულებელი:
სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა"-ს	ინდ. მეწარმე - რევაზ გრიგოლაია
დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით,	მისამართი: ქალაქი ჯვარი
მისამართი: ქ. ჯვარი-,ყაზბეგის ქ. №2	პ/№ 51001025344
ს/კ 242728679	საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი:LBRTGE22
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	ა/ა №GE44LB0112134593037000
დირექტორის მ/შ: თეანა ქუხილავა	რევაზ გრიგოლაია